ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება *HK Danmark (C-335/11) and (C-337/11) ECLI:EU:C:2013:222*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) განმარტა, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს **გონივრული მისადაგება**, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული მისადაგება **არაპროპროციულ ტვირთს** აკისრებს მას:

„53 გაეროს კონვენციის მეორე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „გონივრული მისადაგება არის ის **აუცილებელი და შესაბამისი მოდიფიკაციები და კორექტივები,** რომლებიც არ აკისრებს არაპროპორციულ ან გაუმართლებელ ტვირთს...“

[…]

„58 უფრო მეტიც, ამ დირექტივის მე-5 მუხლის შესაბამისად, ის მისადაგება, რომლის ქონის უფლებაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ, უნდა იყოს გონივრული იმ გაგებით, რომ ის **დამსაქმებლისთვის არ უნდა წარმოადგენდეს არაპროპორციულ ტვირთს .**

59 შესაბამისად, ძირითადი სამართალწარმოებისას მიმდინარე დავების დროს **ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს,** სამუშაო საათების შემცირება, როგორც მისადაგების ერთ-ერთი ღონისძიება, წარმოადგენს თუ არა არაპროპორციულ ტვირთს დამსაქმებლებისთვის.

60 როგორც დირექტივის 2000/78 პრეამბულის 21-ე პუნქტიდან გამომდინარეობს, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, კერძოდ, ასეთი ღონისძიებით გამოწვეული **ფინანსური და სხვა ხარჯები**, **ამ ვალდებულების მასშტაბი და ფინანსური რესურსები, აგრეთვე სახელმწიფო დაფინანსების ან ნებისმიერი სხვა დახმარების მიღების შესაძლებლობა.**“

მოკლე მიმოხილვა:

2000/78/EC დირექტივის მე-5 მუხლი ავალდებულებს დამსაქმებელს, განახორციელოს ღონისძიებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამგვარი ღონისძიება დამსაქმებელს არაპროპორციულ ტვირთს აკისრებს. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ ტვირთის

პროპორციულობა ეროვნულმა სასამართლომ უნდა შეაფასოს თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად. შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ფინანსური ხარჯები, დამსაქმებლის რესურსები და სახელმწიფო დაფინანსების მიღების შესაძლებლობები.

ევროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი XXX
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროკავშირის საბჭოს 2000 წლის 27 ნოემბრის 2000/78/EC დირექტივა შრომით ურთიერთობასა და პროფესიულ საქმიანობაში თანასწორი მოპყრობის შესახებ
ევროკავშირის დებულება	დირექტივა 2000/78 მე-5 მუხლი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ მე-9 მუხლი
საკვანძო ტერმინი	**არაპროპორციული ტვირთი**
CJEU-ს პრაქტიკა	*2013 წლის 11 აპრილის სასამართლოს გადაწყვეტილება HK Danmark, acting on behalf of Jette Ring v Dansk almennyttigt Boligselskab (C-335/11) and HK Danmark, acting on behalf of Lone Skouboe Werge v Dansk Arbejdsgiverforening, acting on behalf of Pro Display A/S (C-337/11)*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.